პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

კომუნისტი — ორган цк кп грузии, верховного совета грузинской ССР и совета министров грузинской ССР

24 იანვარი პარასკევი 1969 წ.

გამოცემის 49-ე წელი • № 20 (14320) • ფასი 2 კაპ.

ლენინურ შრომითს ვაჟკაცზე

დროშა შეინარჩუნეს

რუსთავი. (საკ. კორ.). აქ ძნელია დასახელო რომელიმე სამშენებლო ობიექტი, სადაც შემოქმედებითს შრომას არ ეწეოდეს საქსანტექმონტაჟის ტრესტის რუსთავის სპეციალიზებული სამმართველო (უფროსი მ. რევია). სამმართველომ უკანასკნელ ხანებში ორჯერ შეინარჩუნა რესპუბლიკური გარდამავალი დროშა, რაც კოლექტივის შრომითს მამაცობას მოწმობს.

ახალი ამოცანების წინაშე დგანან სანტექნიკოსები მიმდინარე სამეურნეო წელს. მათ მშენებლობასთან ერთად უნდა უზრუნველყონ ყველა ობიექტის სანტექნიკური სამუშაოები. ასეთი ობიექტები კი აქ თითზე ჩამოსათვლელი როდია.

კარგად დაიწყეს სანტექნიკოსებმა ახალი წელი. 29 დღის დავალება 103 პროცენტით შეასრულეს და ამით ხელი შეუწყეს ასამოქმედებელი ობიექტების დროულად ჩაბარებას.

აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს

ეს დღეები ფაბრიკა „ელასტიკში“

თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა „ელასტიკა“ (დირექტორი გ. ნუცუბიძე) არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი პროდუქცია მომხმარებელთა შორის მოწონებით სარგებლობს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საწარმოში ბოლო დროს მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება ხორციელდება, მოძველებული მანქანა-დანადგარების ნაცვლად ამონტაჟებენ ახალი გაუმჯობესებული ტიპის მანქანებს, ზრდიან მათს წარმადობას. თუ ადრე სამღებრო-საგამომუშავო საამქროში შეუძლებელი იყო შეღებილი პროდუქციის შრობის პროცესის ტექნოლოგიური პირობების დაცვა, ცუდი იყო ხარისხი, არათანაბრად შრებოდა ქსოვილი და ფერადებიც ცვალებადობდა, ახლა ფაბრიკაში დაიდგა დამატებითი საშრობი კამერა, რამაც აღმოფხვრა მანამდე არსებული ეს ნაკლოვანება.

საგრძნობლად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი აგრეთვე საწარმო-საუთოებელი დანადგარის რეკონსტრუქციამ, რაც ადგილობრივი ძალებით განხორციელდა. ყოველივე ამან საწარმოს კოლექტივს საშუალება მისცა იანვრის პირველ ორ დეკადაში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა 2 პროცენტით გადაჭარბა.

მეტრიკოტაჟეები ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან და დღითიდღე ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ.

თ. კინწურაშვილი.

რაციონალიზატორთა წვლილი

ცხაკაია. (საკ. კორ.). ხაოხანი ქსოვილების ფაბრიკაში უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე შემოვიდა 13 რაციონალიზატორული წინადადება, საიდანაც დაინერგა 11. ამის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი ფულადი ეკონომია. საქსოვი საამქროს ტექნოლოგი ო. სალაყაიას და უბნის უფროსის ა. კაციას მიერ შემოტანილი წინადადების მეობებით გაუმჯობესდა ბამი ქსოვილების საქსოვი დაზგის „ტე-130-შლ“-ის მოსახსნელ ლილვაკზე ძაფის მიმანიშნებლის დაზვება. აქ ახლა თვითეულ ცვლაში ორი მეტრით მეტ ქსოვილს იღებენ.

ჩუთნლედი — ვადამდე!



მაღალი მაჩვენებლებით დაასრულა გასული წელი თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა. ფაბრიკამ გამოუშვა 180 ათასი მეტრი ზეგეგმითი აბრეშუმის ქსოვილი.

ფაბრიკის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ წარმოების ნოვატორებს და რაციონალიზატორებს. მათმა ორიგინალურმა წინადადებებმა წლის განმავლობაში საწარმოს მისცეს 170 ათას მანეთზე მეტი ეკონომია, გააუმჯობესეს ქსოვილის დამუშავების ტექნოლოგია.

სურათზე: რაციონალიზატორთა ჯგუფი (მარცხნიდან) ოსტატი გ. დოლიძე, საქსოვი საამქროს უფროსის მოადგილე დ. მურჯიკნელი და მიმღები-საწუმდებლო საამქროს უფროსი დ. ალიბეგაშვილი ახალი წინადადების დამუშავების დროს. ფოტო ზ. ჭეჭაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა)



მეცხოველეობა — ჩვენი საზრუნავი

ᲛᲔᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დასახეს სოფლის შეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა. საქართველოს სსრ მეცხოველეებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის გადაწყვეტილებებს, მეტი რამ გააკეთეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქტების თვითღირებულების შემცირებისათვის, იმისათვის, რომ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად გადააქციონ.

მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა, დიდად განვითარებულ დარგებთან შედარებით მეცხოველეობა კვლავ ჩამორჩა.

„კომუნისტის“ მიმდინარე წლის 17 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წითელწყაროს, სიღნაღის, ზუგდიდისა და ბოგდანოვკის რაიონების მეცხოველეთა მომართვა — „გადავაქციოთ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის რენტაბელურ დარგად“. აღნიშნული რაიონების მშრომელებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებების განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანის მიზნით შეისწავლეს თავიანთი შესაძლებლობანი, არსებული რეზერვები და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი 1969-1970 წლებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულების დარგში. ისინი მოუწოდებენ საქართველოს ყველა მეცხოველეს კიდევ უფრო მაღლა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად, გადააქციონ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ, მაღალშემოსავლიან დარგად.

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის რენტაბელურ დარგად რომ გადავაქციოთ, ამისათვის მარტო გადიდებული ვალდებულების აღება როდია საკმარისი. აქედანვე მთელი ძალღონით უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ პირობა სასახელოდ შევასრულოთ. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში სანაშუშოდ გამოვაზომთროთ პირუტყვი.

მრავალი წლის მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ ხორცის წარმოების სწრაფი გადიდება შეიძლება მხოლოდ მეღორეობის განვითარებით. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მეცხოველეობის ეს დარგი — მეღორეობა იყო და კვლავ რჩება მოსახლეობის ხორცით. ცხიმით მომარაგების უმნიშვნელოვანეს წყაროდ. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მთელი ჩვენი უურადღება ახლა სწორედ მეღორეობის სწრაფ განვითარებას უნდა მივაპუროთ.

წელს მკაცრი ზამთარია. ახეთ დროს უველაზე მეტი ჭაფა მეცხოველეებს ადგათ. ჭერ კიდევ სამი-ოთხი თვის განმავლობაში პირუტყვი ბაგურ კვებაზე იქნება. პირუტყვი კარგად რომ გამოვაზამთროთ, ამისათვის საჭიროა განსაკუთრებულ მზრუნველობას ვიჩენდეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, გვჭონდეს კარგად მოწყობილი სადგომები, უხვად იყოს საკვები, ფერმაში შექმნათ ისეთი პირობა იმისათვის, რომ ზამთარშიც არ შევამციროთ წველადობა, შევინარჩუნოთ მიღებული ნამატი, ყველა პირობა შევუქმნათ ფერმაში მომუშავეებს.

საქართველოში მეცხოველეობის ცალკეული დარგების გამსხვილებამ და სპეციალიზაციამ, საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმების შექმნამ გორის, ქობულეთის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ახმეტისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმებისა — თელავისა და თიანეთის რაიონებში, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქი მეურნეობებისა გარდაბნის და ქარელის რაიონებში შესაძლებლობა მოგვცა შეგვემცირებინა შრომის დანახარჯები და პროდუქციის თვითღირებულება. ამ მხრივ საგულისხმოა გარდაბნის რაიონის სამგორის ჯიშთსანაშენო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობა. აქ ერთ-ერთ განყოფილებაში წლის განმავლობაში ასუქებენ 5 ათას სულ პირუტყვს და ერთი ცენტნერის მატება უჯდებათ 109 მანეთი ნაცვლად 129 მანეთისა.

მაგრამ იბადება კითხვა: ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები უველგან საჭირო მონდომებითა და ღრმა პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათთვის მინდობილ საქმეს? არაა სწორედ ამის შედეგია, რომ სოფლის მეურნეობის ისეთ დიდად განვითარებულ დარგებთან შედარებით, როგორიც არის მევენახეობა, მეჩაიეობა და მეხილეობა, მეცხოველეობა ჯერჯერობით ჩამორჩენილ დარგად ითვლება. ზოგიერთ რაიონში არ ხორციელდება შიდარაიონული და შიდასამეურნეო სპეციალიზაცია, რის გამო ბევრ კოლმეურნეობაში არის უველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის წვრილი ფერმები. ეს კი ხელს უშლის მეცხოველეობის რენტაბელობას. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: ორჯონიკიძის რაიონის 40 კოლმეურნეობაში 7.870 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია. აქედან 1.100 ძროხა, 4.100 ხარი, აგრეთვე 1.300 ღორი, ე. ი. საშუალოდ ერთ ფერმაში არის მხოლოდ 27 ძროხა და 5 ქუბი. ცხადია, ასეთ ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაზე და მეცხოველეობის რენტაბელობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

თანამედროვე სოფლისათვის ჩვეულებრივი გახდა დიდი მშენებლობა. უკანასკნელ წლებში აშენდა მთელი რიგი ახალი ფერმები, რომელმაც საშუალება მოგვცეს დაგვემონტაჟებინა იქ მანქანები და მოწყობილობა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. მიუხედავად ამისა, საერთოდ რესპუბლიკაში დაბალია მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე. 1968 წლის პირველი იანვრისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თუ გავითვალისწინებთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობას, წყალმომარაგება მექანიზებული იყო მხოლოდ 19 პროცენტით, საკვლის გატანა — 12 პროცენტით, საკვების მიწოდება — 2 პროცენტით, ელექტროწველა — 4 პროცენტით.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა გავადიდოთ საკვები კულტურების ფართობები, ყურადღება მიექცეს გაუჯობესებული ჯიშიანი პირუტყვის გამრავლების, თვითღირებულების შემცირების, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს.

მეცხოველეობისათვის ახლა უველაზე რთული, პასუხსაგები პერიოდია. მისი შემდგომი წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოაზამთრებენ პირუტყვს. მართალია, დასავლეთ საქართველოს მეცხოველეებს წელს პირუტყვის გამოზამთრების საქმეში ბევრი სიძნელე აქვთ. მაგრამ დაზარალებულ რაიონებს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის უველა ქალაქმა, სოფლმა დახმარების ძმური ხელი გაუწოდა და თავიანთი დანაზოგებიდან მიაწოდეს პირუტყვის დიდძალი საკვები.

თვითეულ ფერმაში პირუტყვის პროდუქტიულობის დონისა და რეალურ შესაძლებლობათა შესაბამისად უნდა დაწესდეს საკვების ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტები. არც ერთი კილოგრამი მარცვალი, თივა, სილოსი არ უნდა დაიხარჯოს უნაყოფოდ.

ბევრი საქმეა ახლა ფერმებში ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ზამთრის დაძაბულ პერიოდში საჭიროა მეცხოველეთა უაღრესად მწყობრი მუშაობა. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ოპერატიული, კონკრეტული და ქმედითი უნდა გახადონ ადგილებზე თავიანთი მუშაობა, ისე წარმართონ მეურნეობა, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმები მოითხოვენ.

უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, გადავაქციოთ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ, მაღალშემოსავლიან დარგად. ეს მეცხოველეთა ღირსებისა და სახელის საქმეა!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ი. პალეცკისისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთგებათა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. იუსტას ინნოს-ძე პალეცკისს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამბალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1969 წ. 22 იანვარი.

სამშობლო მიესალმება კოსმოსის გმირებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კვლავ ყოველდღე იღებენ დეპეშებსა და წერილებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, სოფლის მეურნეობის, ინსტიტუტების, მშენებლობების, სკოლების მუშაკები, ცალკეული მოქალაქეები აღფრთოვანებას გამოთქვამენ იმ თვალსაჩინო მიღწევების გამო, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ მოიპოვეს კოსმოსური სივრცის ათვისებაში, მხურვალედ ულოცავენ ამხანაგებს ვლადიმერ შატალოვს, ბორის ვოლინოვს, ალექსი ელისეევსა და ევგენი ხრუნოვს ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულებას და მშობლიურ მიწაზე მშვიდობით დაბრუნებას.

— ჩვენ, ზღვისპირეთის ქვანახშირის კომბინატის № 6-6-ბის შახტის მუშები, მაღაროელები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი უდიდესი სიხარულით შევხვდით ამბავს ახალი დიდი გამარჯვების შესახებ კოსმოსში, — ნათქვამია ზღვისპირეთის მხარიდან გამოგზავნილ დეპეშაში.—ეს გამარჯვება კვლავ და კვლავ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდია სოციალისტური წყობილების შემოქმედებითი ძალები, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის შესაძლებლობანი. შახტის მშრომელთა კოლექტივი პირობას აძლევს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს, რომ, დადგა ჩვენთვის ვახტზე, ვადამდე შევასრულებთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

— გვსურს, — წერენ როსტოვის ოლქის კამენსკის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები, — დიდი აღტაცებით შევხვდით ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის გმირული ფრენისა და დედამიწაზე დაბრუნების ამბავს. ეს ახალი მიღწევები კაცობრიობას უსახავენ უმაგალითო პერსპექტივებს კოსმოსური სივრცის შემდგომი მშვიდობიანი ათვისებისათვის, რაც სასარგებლო იქნება არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვისაც. ეს აღგვაფრთოვანებს თავდადებული შრომისათვის.

— ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო, — ნათქვამია ტალინიდან მიღებულ დეპეშაში, — რესპუბლიკის ყველა მშრომელთა სახელით გამოთქვამენ უსაზღვრო სიხარულსა და კმაყოფილებას იმ ახალი ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც სამშობლომ კოსმოსში მოიპოვა. თვალსაჩინო სამეცნიერო ექსპერიმენტის წარმატებით დამთავრება ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყოფს სოციალისტური წყობილების ძალასა და ძლიერებას. საბჭოთა ესტონეთის მშრომელები მიესალმებიან კოსმოსის გმირების ვაჟკაცობასა და სიმტკიცეს.

თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელთა სახელით მისალმებანი კოსმონავტებს გამოუგზავნეს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ; სკკპ კარელიის საოლქო კომიტეტმა, კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ; სკკპ უდმურტეთის საოლქო კომიტეტმა, უდმურტეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ; უკრაინის კომპარტიის ვოლინის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა.

აღტაცებას კოსმონავტთა გმირობისა და საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების გამო დეპეშებში გამოთქვამენ ტამბოველი მშრომელები, როსტოვის ოლქის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელისა და კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ წევრები, ტრესტ „არტემუგოლის“ № 11 შახტის მაღაროელები და ზღვისპირეთის მხარის ქარხანა „დალზავოდის“ კოლექტივი, სკკპ შუიის საქალაქო კომიტეტის (ივანოვოს ოლქი) პლენუმის მონაწილენი და მასალის რაისაბჭოს (აზერბაიჯანის სსრ) სესიის მონაწილენი, აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ქალაქ ზირიანოვსკის ოსტროვსკის სახელობის სკოლის, ალტაის მხარის დაბა გორნიაკის მოსწავლენი და მასწავლებლები და ბევრი სხვა.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

თათბირი ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე

22 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

თათბირზე მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა გამგეები, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები.

მოხსენება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ **მ. ა. გოგიჩაიშვილმა.**

მოხსენების გამო გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება.

ქამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მთელ დიდ ორგანიზაციულ მუშაობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ წინასაარჩევნო კამპანიაში შეძენილი გამოცდილება, აგრეთვე გაითვალისწინონ წარსული არჩევნების მოწყობაში შემჩნეული ცალკეული ნაკლოვანებანი.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებულ არიან უველგან გაშალონ მასობრივი მუშაობა, აამოქმედონ იდეოლოგიური გავლენის უველა საშუალებანი, გამოიყენონ ჩვენი პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ზეპირი პროპაგანდის უდიდესი შესაძლებლობანი. ამ მუშაობის ამოცანაა დარაზმოს რესპუბლიკის მშრომელები სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად, საბჭოების არჩევნები აღნიშნოს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ახალი გამარჯვებით.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ი. ჭანუყვაძემ.**

თათბირმა მოისმინა აგრეთვე ინფორმაცია შინაპარტიული მუშაობის ზოგიერთ საკითხზე.

ინფორმაციაში შეჯამებული იყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების გასული წლის ნოემბერ-დეკემბრის ანგარიშსაბებისა და არჩევნების შედეგები. აღინიშნა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ საქართველოს პარტორგანიზაციებში ჩაიარა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე და ცხადყო მშრომელთა კოლექტივების მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და თვითეული კომუნისტის აქტივობის ამაღლება. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და ხუთწლიანი გეგმის დავალებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები დგას დღეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე. მათ გადაეჩეხა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, სკკპ თვითეულმა წევრმა. პარტიული ორგანიზაციების მაღალი მოწოდებაა გააერთიანონ პარტიის მებრძოლთა შემოქმედებითი აზრი და პრაქტიკული ღონისძიებანი, წარმართონ მათი გონება და ძალღონე ახალი მიღწევებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკმა **ვ. ვ. ვასილიევმა.**

(საქდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-264“

1969 წლის 23 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მოროგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-264“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ძმა ძმისთვის...

ასე ეხმარებიან სტიქიისაგან დაზარალებულ ქალაქებსა და რაიონებს

ჟუმაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). მძიმე დღეებში, როცა გრიგალისაგან დაზარალებული ქუთაისი აღდგენითს სამუშაოებს იწყებდა, ფეხზე დადგა ქალაქის უველა სამშენებლო ორგანიზაცია, მაგრამ ქუთაისელები სტიქიის შედეგების სწრაფად ლიკვიდაციას ვერ შეძლებდნენ, მხარში რომ არ ამოსდგომოდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშენებლები. განსაკუთრებით მადლობით იხსენიებენ ქუთაისელები საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო ტრესტს, რომელმაც 105 ბრიგადა მოავლინა.

ბრიგადები მოვიდნენ აგრეთვე რუსთავიდან, ხაშურიდან, ორჯონიკიძის რაიონიდან და სხვ.

თბილისელთა პირველმა ბრიგადამ, რომელსაც ინჟინერი ვ. ხუხუნაიშვილი ხელმძღვანელობს, დაკვრითი წესით შეაკეთა საცხოვრებელი სახლები ცხინვალისა და 1905 წლის რევოლუციის ქუჩებზე, აგრეთვე მე-6 საშუალო სკოლა და სხვა ობიექტები. ამ ბრიგადიდან თავი გამოიჩინეს დურგალმა ჭ. ჯოხუნაძემ, მეთუნუქეებმა ა. მასლოვმა და მ. ტრევოგოდამ.

თბილისელთა მეორე ბრიგადამ, რომლის თავკაცობა ინჟინერ რ. ჭიქაშვილს ჰქონდა მინდობილი, სწრაფად აღადგინა ქალაქის ადმინისტრაციული სახლის, მე-9 სკოლის, კულტურის სახლის სახურავები. ამ ობიექტებზე ენერგიის დაუზოგავად მუშაობდნენ მძღოლი შოთა, ტარიელ და გიორგი მერიაშვილები, კ. ჯოიუა. თავი გამოიჩინეს ავრეთვე რუსთავიდან ჩამოსულებმა დ. ისავემა, ვ. ტაბატაძემ და სხვებმა, რომლებსაც ოსტატი გ. ფირჩხაძე ედგა სათავეში. ბევრი საცხოვრებელი სახლი შეაკეთეს ხაშურელმა მეთუნუქეებმა ვ. ქიმერიძემ და კ. ბაქრაძემ. ორჯონიკიძის რაიონიდან ჩამოსულებმა ლ. ხვიდელიძემ, ნ. ლურსმანაშვილმა, ლ. კიკნაძემ გორის ქუჩაზე და ჭავჭავაძის პროსპექტზე ათობით საცხოვრებელი სახლი შეაკეთეს და მოსახლეობის დიდი მადლობა დაიმსახურეს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტიდან წარმოგზავნილი ბრიგადიდან, რომელსაც ა. მანასიანი ხელმძღვანელობდა, თავი გამოიჩინეს დურგლებმა ს. ჯვირტიძემ, კ. სარიევმა და მეთუნუქე ნ. ტუჩიშვილმა.

ჭასკი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მესვეურებთან ერთად გადახედეს პირუტყვის საკვების რეზერვებს და ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ამბროლაურის რაიონის მშრომელებს. 21 იანვარს გაემგზავრა 65 მანქანისაგან შემდგარი ავტოკოლონა, რომელმაც წაიღო 100 ტონა ნამჯა და 12 ტონა სიფრაგი. 22 იანვარს ავტოკოლონა ადგილზე ჩავიდა. პირუტყვის საკვები კოლმეურნეობებმა გაუნაწილდა.

სიღნაღი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძმური დახმარების ხელი გაუწვდეს ზესტაფონის, საჩხერისა და ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებს. ამ დღეებში ზესტაფონის რაიონმა უკვე მიიღო 122 ტონა ნამჯა, საჩხერემ 50 ტონა. მზად არის და მალე გაიგზავნება 300 ტონა ნამჯა ცხაკაიას რაიონში.

ბურჯანაული. („კომუნისტის“ კორ.). გრიგალისაგან დაზარალებული წყალტუბოს რაიონში ელექტრომეურნეობის მოსაწესრიგებლად გაემგზავრა 15 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟინერი ო. ონოფრიშვილი. წყალტუბოდან მოვიდა ცნობა, რომ ბრიგადამ 12 დღეს დაუღალავად იმუშავა ელექტროქსელის მოსაწესრიგებლად. გურჯაანელები ამ დღეებში წყალტუბოელებს 120 ტონა ნამჯას გაუგზავნიან.

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). გრიგალისაგან დაზარალებული რაიონების დასახმარებლად თელავის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა პრაქტიკული ღონისძიებები განახორციელეს. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის საკვების ფონდიდან ტყიბულის მეცხოველეობის ფერმების დასახმარებლად 18 იანვარს თელავის რკინიგზის სადგურზე გაგზავნეს 70 ტონა ნამჯა. პირუტყვის საკვები შეგე ეს მიიღეს კოლმეურნეობებმა.

ახმეტა. („კომუნისტის“ კორ.). ოთხი დღის წინათ თელავის რკინიგზის სადგურს ავტომანქანების დიდი ქარავანი მოადგა. მათ აქ მოიტანეს ახმეტის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან 140 ტონა ნამჯა. პირუტყვის საკვები ვაგონებში ჩატვირთეს და ბებაშიაგენ გაუყენეს. ამავე რაიონში ავტოკოლონით გაგზავნეს 30 ტონა სიმინდის მარცვალი.

გუშინ ბებაშის რკინიგზის სადგურში ჩამოდგა ახმეტიდან გამოგზავნილი პირუტყვის საკვებიო დატვირთული ვაგონები. საკვები კოლმეურნეობებს ორგანიზებულად გაუნაწილდათ.

დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე

ახალგაზრდობა — ენგურჰესს

რეპორტაჟი კლენუმის სხდომის დარბაზიდან

ზორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თეატრალური დარბაზი ხალხით არის სავსე. დამსწრეთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდობაა. ისინი შეკრებილან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მაგრამ პლენუმის წევრთა და წევრობის კანდიდატთა გარდა აქ არიან რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები. დარბაზშივე ხედავთ ენგურჰესის მშენებლობის ნიცნობ სახეებს. ისინი სპეციალურად მოუწვევიათ პლენუმზე დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით.

და აი იწყება ამ საკითხის განხილვაც. „ენგურჰესის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის მიმდინარეობა და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები“ — ასეთია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ჩოგოვაძის მოხსენება.

დარბაზი დაბაბული ყურადღებით ისმენს მომხსენებლის შინაარსიან გამოსვლას. იგი ლაპარაკობს ფრთაწესხმულ ოცნებაზე — „გოელროს“ გეგმაზე, საქართველოს პირველ ჰიდროელექტროსადგურებზე, მოჰყავს შესაძლო ციფრები, ფაქტები. შემდეგ ვრცლად ჩერდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიმდინარეობაზე. მის მრავალათასიან მშენებელთა სახელოვან საქმეებზე, ამ მშენებლობაში საქართველოს კომკავშირის დიდ წვლილზე.

ენგურჰესის — ჩვენი ეროვნული სიამაყის, ჰიდროენერგეტიკის გიგანტის, თავისი ტექნიკური ნაკაფერითა და გაბედული მასშტაბებით უბადლო ნაგებობის მშენებლობა ამკამად ფართო ფრონტით მიმდინარეობს. გაიელის რამდენიმე წელიც, და ამ ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატები ელექტროენერგიას მიაწვდიან როგორც საქართველოს, ისე შეზობელი რესპუბლიკების მზარდ იხდუსტრიას.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ენგურჰესის სიმძლავრე ერთი მილიონ 640 ათას კილოვატ-საათს შეადგენს, ხოლო მისი ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება — 5,5 მილიარდ კილოვატ-საათს.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე 2 ათასზე მეტი ჰაბუკი და ქალიშვილი შრომობს. ამათგან 289 კაცი შარშან მოვიდა აქ კომკავშირული საგზურებით საქართველოს ყველა კუთხიდან. მათ შეხვედებით ყველგან, საღაც კი მშენებლობის ბედი წყდება. ხაშურელი ე. ნოზაძე და ცაგერელი ო. ბობოხიძე, დუშელი ი. ნარიმანიძე და ვანელი გ. ხურციძე, წალენჯიხელები ა. სალაია და ვ. ქარდავა... შორს წავიყვანეს ყველა მოწინავის ჩამოთვლა. ზოგიერთი მათგანის სახელი კი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა. მაგალითად, გ. ნაღირაძის კომპლექსურმა ბრიგადამ დიდი განივკვეთის გვირაბის გაყვანის საკვანძო რეკორდი დაამყარა.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთი რაიონის ახალგაზრდობაზე. შარშან მშენებლობაზე ახალციხის, ბოლნისისა და სხვა რაიონებიდან კომკავშირული საგზურებით ჩამოსული ახალგაზრდები ამავე დღეს გაბარუნდნენ უკან.

ენგურჰესს აშენებს მთელი საქართველო. შრომელი ეროვნების ადამიანები შრომობენ აქ მხარდამხარ, მაგრამ მშენებლობის სულ უფრო მზარდი ბგმშტაბები მოითხოვს დიდძალ მუშახელს, რითაც იგი ჯერჯერობით უზრუნველყოფილი არ არის. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მშენებლობა განიცდის მუშახელის ნაკლებობას, არ ჰყოფნის თითქმის ყველა პროფესიის ადამიანები.

— ენგურჰესის მშენებლობა, — მიმართა პლენუმის მონაწილეებს სიტყვით გამოსულმა „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველმა ვ. ნიჟარაძემ, — ელის ახალ შეკსებას, — პირველ რიგში კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს.

პლენუმის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ენგურჰესის მშენებლობის კომკავშირული ბრიგადის გვირაბგამყვანის ი. ჯუმბერიძის გამოსვლა. — უკვე მეხუთე წელია, — თქვა მან, — რაც 40 თერჯოლელი მივიდით მშენებლობაზე სამუშაოდ და ამ ხნის მანძილზე ერთი კაციც არ დაგვკლებია. მაშინ იქ სულ რამდენიმე ნაგებობა დაგვხვდა, მაგრამ გული არ გაგვტეხია, ახალგაზრდულმა შემართებამ, მონდომებამ და ენთუზიაზმმა თავისი გაიტანა. დღეს ნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენების ყველა აუცილებელი პირობა გვაქვს შექმნილი. წამოდით ახალგაზრდებო ჩვენთან, ერთად ვიშრომოთ ამ დიად მშენებლობაზე, — დაასრულა მან თავისი გამოსვლა.

უყურებთ ამ სანთლის ტანის, პირხმელ, მაგრამ ენერგიული გამომეტყველების ახალგაზრდას და გკურათ მისი სიტყვებისა. იგი ენგურჰესის მშენებლობაზე მხოლოდ შრომის სიხარულს ხედავს.

მაგრამ პლენუმზე არ დაუფარავთ ის სიძნელეებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი მშენებლობაზე ცალკეულ უწყებათა და ზოგიერთ ხელმძღვანელთა მოუქნელობით, უსულგულობით. თუმცა ეს, როგორც ორატორები აღნიშნავდნენ, საერთოდ არ არის იმ სიძნელეებთან, რაც ზაჰეს, რიონჰესს, ხრამჰესს პირველმშენებლებს ხვდებოდათ მიზნის მიღწევის გზაზე.

პლენუმის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა საქართველოს ფილარმონიის მთავარი რეჟისორის გ. ქართველიშვილის გამოსვლამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეეცადა დაეხატა ფილარმონიის მიერ ენგურჰესის მშენებლობის მომსახურების ტაქტიკის სურათი. პლენუმზე აღინიშნა, რომ ენგურჰესის მშენებლობის ისეთია სტემრები არიან ჩვენი საუკეთესო მხატვრული კოლექტივები და შემსრულებლები.

კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჭითანავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა რესპუბლიკის პრესაში ენგურჰესის მშენებლობის მიმდინარეობისა და მშენებელთა საქმეების გაშუქების არასისტემატური ხასიათი.

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებასა და დასახულ კონკრეტულ ღონისძიებაში მოცემულია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის დამკვრელური კომკავშირულ მშენებლობაში საქართველოს კომკავშირის მონაწილეობის გარკვეული პროგრამა. ამასთან პლენუმმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, კომკავშირელები და ახალგაზრდობა მთელი ენერგიით და ჰაბუკური შემართებით აშორმებენ, ძალებს დაძაბავენ იმისათვის, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობა ვადამდე იქნას დამთავრებული.

გ. ზუკაკიშვილი.

თბილისის კონიაკის ქარხანა ერთ-ერთი უმსხვილესი სამეცნიალიზებული საწარმოა ჩვენს ქვეყანაში. იგი საბჭოთა კავშირში გამოშვებული კონიაკების თითქმის ერთ მესამედს აწარმოებს.

• • •

სურათზე: ქარხნის მოწინავე მფუთავი ნინო კირვალიძე.

ფოტო ვ. მორგუნოვისა.
(საქრონიკო ფოტოკორონდი).

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დიდი ისტორიული მნიშვნელობა

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებს, რადგან სხვა აგრარტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში სასუქების გამოყენება ერთ-ერთ ძირითად და დიდ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში.

ცდებითა და პრაქტიკული გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ სასუქების რაციონალურად გამოყენებით 2-3-ჯერ და ზოგჯერ მეტადაც იზრდება სოფლის მეურნეობის მთელი რიგი კულტურების მოსავალი. მაგალითად, თუ სასუქების გამოყენებამდე საშუალოდ ჰექტარზე 500-600 კილოგრამამ ჩაის მწვანე ფოთლის იღებდნენ, ახლა სასუქების გამოყენების შემდეგ, ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი ჰექტარზე 5.000-6.000 კილოგრამამდე ავიდა.

სასუქების ეფექტურობა დიდია აგრეთვე ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის განვითარებისადმი. ჩვენში ყოველწლიურად იზრდება მინერალური სასუქების წარმოება, სოფლის მეურნეობა თანდათანობით მეტი რაოდენობით იღებს სასუქებს. თუ მეფის რუსეთში 1913 წელს დამზადებულ იქნა მხოლოდ 89 ათასი ტონა მინერალური სასუქი, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი დიდი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მიიღო: 1928 წელს 135 ათასი და 1940 წელს — 3.237 ათასი, ხოლო 1966 წელს 25 მილიონი ტონა მინერალური სასუქი. თუ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა სამამულო ომამდე იღებდა 100-150 ათას ტონა მინერალურ სასუქებს, 1968 წელს მიღებულია 650 ათასი ტონა. მიუხედავად ამისა ეს საკმარისი არ არის.

ამიტომ დიდი ღონისძიებები ხორციელდება ამჟამად მინერალური სასუქების წარმოების გადიდებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1969-1972 წლებში მინერალური სასუქების წარმოება აყვანილ იქნება 95 მილიონ ტონამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ქიმიური მრეწველობა გიგანტური ტემპით ვითარდება და ყოველწლიურად დიდი რაოდენობით აწვდის სოფლის მეურნეობას დიდი ენერგიით ვაწარმოებთ ფუნქციონირებას ინჟინერ-საწარმოო მომსახურების კულტურის დონე.

ხუთწლედის მესამე წელს განსაკუთრებით ისახელეს თავი წყალტუბოს, წულუკიძის, მცხეთის, კასპის, გურჯაანის, ბოლნისის, ხობის, გალის, ხაშურის, ლანჩხუთის, თელავის, დუშეთისა და „საქსოფლტექნიკის“ მთელი რიგი სხვა რაიონული განყოფილებების, მარნეულის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზისა და დიღმის სარემონტო ქარხნის კოლექტივებმა.

საერთო წარმატებაში ცოტა წვლილი როდი შეიტანეს სოფლის ხელმარჯვე ოსტატებმა. მექანიზატორთა 400 რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამ რაიონულ განყოფილებებს შარშან 140 ათასი მანეთი დაუზოგა. ყოფილი ბელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ბაზაზე შეიქმნა სპეციალური ექსპერიმენტული ქარხანა, რომელიც მოწოდებული ქარხნა, რომელიც მოწოდებული ქარხნა, რომელიც მოწოდებული ქარხნ

საკავშირო ცხოვრება

დიდება გმირებს!

გდრ

საზღვარგარეთის გამოხმაურება მოსკოვში გამართული კოსმოსური ექიპაჟის შეხვედრის გამო

ბერლინი, 22 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ადნის სააგენტომ, რადიომ, ტელევიზიამ და გაზეთებმა ჯერ კიდევ დილადვიან გამოაცხადეს, რომ მოსკოვში გაიმართება კოსმოსის საბჭოთა გმირების ვლადიმერ შატალოვის, ბორის ვოლინოვის, ევგენი ხრუნოვისა და ალექსი ელისეევის შეხვედრა.

მილიონობით ადამიანი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს პირდაპირ რადიო — და ტელევიზიო გადაცემებს მოსკოვიდან, რომელებმაც აღბეჭდეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მხურვალე მისალმება და მილოცვა კოსმონავტებისადმი.

რადიო და ტელევიზია გერმანულ ენაზე სინქრონულ თარგმანით გადასცემდნენ კოსმონავტების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს და სხვათა გამოსვლებს კრემლში გამართულ მიტინგზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა საბჭოთა ხალხთან ერთად, მხურვალედ უკრავდა ტაშს გულში ჩამწვდომ სიტყვებს, რომლებიც მიეძღვნა მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საკეთილდღეოდ საბჭოთა ადამიანების თვალსაჩინო გამარჯვებას.

აშშ

ნიუ-იორკი, 22 იანვარი (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების მოსკოვიდან კორესპონდენტებმა გადასცეს დაწვრილებითი ცნობები იმ გულთბილი მიღების შესახებ, რომელიც მოუწყვეს კოსმონავტებს ვ. ა. შატალოვს, ბ. ვ. ვოლინოვს, ა. ს. ელისეევსა და ე. ვ. ხრუნოვს ვნუკოვოს აეროპორტში და მათი პატივცემი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებისადმი. ცნობებში აღნიშნულია ტრიუმფალური შეხვედრა „დიდების გზაზე“ — ლენინის პროსპექტზე. „მთელი გზა მორთული იყო დროშებითა და ლოზუნგებით, რომლებიც ადიდებდნენ საბჭოთა მეცნიერებას“, — ხაზს უსვამს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

საინფორმაციო სააგენტო, იუწყება რა კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული დედაქალაქის მწრომელთა მიტინგის შესახებ, აღნიშნავს, რომ ოთხივე კოსმონავტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ხაზს უსვამს სიტყვებს იმის შესახებ, რომ ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ფრენა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევაა, საბჭოთა ადამიანების მამაცობისა და გმირობის, გონების და შრომის ახალი ტრიუმფია.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს მოსკოვიდან მიღებულ ცნობაში მოყვანილია კოსმონავტის ვ. შატალოვის სიტყვები, რომ ხომალდი „სოიუზი“ „შესანიშნავი და პერსპექტიული საფრენი აპარატია“.

საფრანგეთი

პარიზი, 22 იანვარი. (საკდესი). „საგარეო დედაქალაქმა ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო კოსმოსის ოთხ გმირს, რომლებმაც შეაკირავირეს თავისუფალი ხომალდები ორგიტაზე და შექმნეს მსოფლიოში პირველი კოსმოსური სადგური“, — აღნიშნავს ცნობებში ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ჰოლანდია

ვარშავა, 22 იანვარი. (საკდესი). სახალხო პოლონეთის მილიონობით ადამიანი უხილავად ესწრებოდა დღეს კოსმოსის ოთხ ახალ დამპყრობთან შეხვედრას: ისინი ტაშს უკრავდნენ მოსკოველებთან ერთად მსოფლიოში პირველი ორბიტული კოსმოსური სადგურის „მეომენტაეებს“, რომლებმაც ახალი ფურცელი ჩაწერეს სამყაროს დაპორჩილების ისტორიაში და ძმურად მიესალმებოდნენ მათ, უღელავდნენ მშობლიურ მიწა-წყალზე დიდი გამარჯვებით დაბრუნებას.

ვარშავის რადიომ გადასცა: „მოსკოველები გულთბილად და სიხარულით შეხვდნენ ოთხ მამაც და გაბედულ ადამიანს. პირველი შეხვედრა მოხდა მოსკოვის ვნუკოვოს აეროდრომზე. თვით მოსკოვში კი მათ პირველი შეხვდნენ სამხრეთ-დასავლეთ რაიონის მცხოვრებლები, სადაც აეროდრომიდან მომავალი მე-ორკოსმონავტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პროსპექტის უერთდება.

იუგოსლავია

ბელგრადი, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს როცა საბჭოთა დედაქალაქი მოსკოვი სიხარულით შეხვდა თავის გმირებს, კოსმონავტ მფრინავებს ვლადიმერ შატალოვს, ბორის ვოლინოვს, ევგენი ხრუნოვს, ალექსი ელისეევს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მეცნიერული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარემ სიდა მარიანოვიჩმა, მინდა უწინარეს ყოვლისა მივულოცო ჩვეს საბჭოთა კოლეგებს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიდი მიღწევა. პირველი ორბიტული სადგურის შექმნა, კოსმონავტების გადასვლა ერთი კოსმოსური ხომალდიდან მეორეში შესაძლებელი გახდა იმ უდიდეს წვრმატებათა შედეგად, რომლებსაც წლითიწლობით აღწევს მთელი საბჭოთა მეცნიერება.

საბჭოთა მეცნიერებისა და კოსმონავტთა ეს გმირობა ახარებთ ყველა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს.

სულითა და გულით, თქვა სიდა შარიანოვიჩმა, გულოცავ კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის გმირ, ეკიპაჟს. მათ მსოფლიოში პირველებმა განახორციელეს ექსპერიმენტი, რომელიც სახავს კოსმოსური სივრცის შემდგომი კვლევის ახალ გზებს.

მონღოლეთი

ულან-ბატორი, 22 იანვარი. (საკდესი). მთელი მონღოლეთი დღეს სიხარულითა და აღტაცებით უსმენდა ვ. შატალოვის, ბ. ვოლინოვის, ე. ხრუნოვის და ა. ელისეევის ტრანსლაციას მოსკოვიდან.

ქალაქებში, სოფლებში და შორეულ სადგომებზე ადამიანები შეკრებილან რადიომიმღებებთან. ისინი დიდი ინტერესით აღევნებდნენ თვალს კოსმონავტებთან საზეიმო შეხვედრასა და ტრიუმფულ მსვლელობას ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში.

მონღოლეთის მშრომელებმა უდიდესი აღფრთოვანებით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა საბჭოთა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიტინგზე.

ინგლისი

ლონდონი, 23 იანვარი. (საკდესი). ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ის, თუ როგორ ვითარდება საბჭოთა კოსმოსური ტექნიკა, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კენეტ გეტლენდმა, ბრიტანეთის საპლანეტათშორისო მომოსვლის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა. გეტლენდმა აღნიშნა, რომ „შეპირაპირების უალრესად წარმატებული ოპერაცია, რომელიც „სოიუზის“ პილოტირებულმა კოსმოსურმა ხომალდებმა განახორციელეს, გვიჩვენებს, თუ რა სწრაფად ხორციელდება ცოლკოვსკის მიერ პირველად წამოყენებული კოსმოსური სადგურის იდეა“.

ვფიქრობთ, აღნიშნა მან, რომ საბჭოთა კავშირი მალე შეძლებს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე აუწყოს ბევრი სათვისტომოსგან შედგარი ლაბორატორია. იგი იქნება არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების ორბიტული პლატფორმა, არამედ შუალედური ბაზა სხვა პლანეტებზე გასაფრენად.

კუბა

ჰავანა, 23 იანვარი. (საკდესი). „ჩემი აზრით, საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ფრენის წარმატება მარტო ის როდია, რომ მსოფლიოში პირველად განხორციელდა პილოტირებული ხომალდების შეკირავირება და ორი კოსმონავტის კოსმოსურ სივრცეში ერთი ხომალდიდან მეორეში გადასვლა, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს კუბის მეცნიერებათა აკადემიის ნეიროფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ხოსე ა. გუსტამენტემ. — როგორც მე ვფიქრობ, ეს თვალსაჩინო ექსპერიმენტი საშუალებას იძლევა კონკრეტულად დაინახოს საკაითხი კოსმოსის პირობებში საკლანეტათშორისო სადგურებში ადამიანის მუშაობის უნარის შესახებ.

როგორც ექიმსა და ფსიქიატრს, მიმაჩნია, რომ საბჭოთა მედიცინის, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კოსმოსური ფრენის ფართო პრობლემის განხორციელებაში, წარმოადგენენ კოსმოსური მედიცინის პიონერებს და სამოდამოდ დარჩებიან ამ კოთილშობილური საქმის პიონერებს.

შვეცია

სტოკჰოლმი, 23 იანვარი. (საკდესი). ეს უკანასკნელი წარმატებაა, ხაზი გაუსვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სტოკჰოლმის ტექნიკური მუზეუმის დირექტორმა ს. სტრანდმა. საბჭოთა კოსმონავტებმა კიდევ დაადასტურეს, რომ ისინი ინარჩუნებენ კოსმოსური სივრცის წამყვან მკვლევართა პოზიციებს.

საბჭოთა კოსმონავტების უკანასკნელი წარმატებანი ახალი წვლილია საერთაშორისო ურთიერთგაგებაში, ხალხთა დაახლოების საქმეში კატეგორიობის საერთო ინტერესებისათვის, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს „შვეცია-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა კავშირის ვიცე-თავმჯდომარემ კარინ შულცმა.

იტალია

რომი, 22 იანვარი. (საკდესი). იტალიის ანსას საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ცნობათა ხერხა ტრიუმფული შეხვედრის შესახებ, რომელიც დღეს მოსკოვში მოეწყვეს „კოსმოსურ ოთხეულს“ — ვ. შატალოვს, ბ. ვოლინოვს, ა. ელისეევს და ე. ხრუნოვს. სააგენტომ აღწერა, თუ როგორ საზეიმოდ იყო მოწყობილი საბჭოთა დედაქალაქის ქუჩები, როგორ მიესალმებოდნენ მოსკოვის მშრომელები კოსმონავტებს.

ანსამ გადასცა კრემლში გამართულ მიტინგზე წარმოთქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი და ხაზი გაუსვა იმ აღგილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის შემქმნელთა შრომის მაღალ ხარისხზე.

იტალიის რადიომ მილიონობით მსმენელს აუწყა, რომ მოსკოვში მამაც კოსმონავტებს ისე შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირებს.

ეკონომიური გვარიელები ზანგთა გეტოში

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი იუწყება:

9 თვეზე მეტ ხანს „იცავდნენ წესრიგს“ ეროვნული გვარდიის პატრულები დელავერის შტატის მსხვილი სამრეწველო ცენტრის ქალაქ უილმინგტონის ზანგთა გეტოს ქუჩებში.

შტატის გუბერნატორის ბრძანებით ეს რაზმები ქალაქში შეიყვანეს ჯერ კიდევ გასული წლის 9 აპრილს, როცა უილმინგტონში დაიწყო ზანგთა მღელვარება, რომელიც გამოხმაურება ამერიკის მეეროვნული შტატების ზანგთა მოძრაობის თავლსაჩინო მოღვაწის ლუთერ კინგის მოკვლის გამო.

მას შემდეგ შტატის ხელისუფლებს ზანგთა ახალი დემონსტრაციების შიშით გამუდმებით ჰყავთ ქალაქში ეროვნული გვარდიის 100-მდე წევრაღიდებული ჯარისკაცი, რომლებიც ღამით თვალყურს ადევნებდნენ ზანგთა საცხოვრებლებს. ეროვნული გვარდიის 50-მდე ჯარისკაცი „ყოველ შემთხვევისათვის“ იყო ავრეთვე შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში — დოვერში.

მაგრამ საკმარისი იყო შტატის ახალ გუბერნატორს ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფები გაეყვანა უილმინგტონიდან, რომ 250 კაცმა ქუჩებში გამართა დემონსტრაცია. დემონსტრანტები პრატესტს აცხადებდნენ შტატში „დიუპონ ის ნემოურის“ მონოპოლიის მოძალების წინააღმდეგ.

◆

ნაცისტებისაგან ნასესხები იდეა

ბონი, 23 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებმა თავიანთ გამოსვლებში დაგმეს ბონის მთავრობის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ე. წ. „გასაფრთხილებელ დაპატიმრებებს“. ჩვი მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, იმ პირთა და ორგანიზაციათა წინააღმდეგ, რომლებიც ოპოზიციურად არიან განწყობილი ბონისადმი.

განცხადებაში, რომელიც გავრცელა მიუნხენის ორგანიზაცია „დემოკრატიული აქციის“, აღნიშნულია, რომ ერთ დროს, მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათაოეში მოექცნენ ჰიტლერელები — „ასეთ იდეებს ბოლოს და ბოლოს მოჰყვა საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა“.

ნეფედოვის მიუსაჯეს სიკვდილის მაკა. ორმოცდაათი ნოემბერში, როდესაც ის — 17 წლის პატიმრობა.

ნაშუადღევს დაიწყო ხუთი სტუდენტის სასამართლო პროცესი. ისინი ირაცხებოდნენ წინააღმდეგობის არალეგალურ ორგანიზაციაში, რომელიც საბერძნეთის ეროვნული გმირის პოეტ რიგას ფერეოსის სახელს ატარებს. ამ პროცესის დამთავრების შემდეგ გაასამართლებენ პატრიოტული ანტიდიქტატორული ფრონტის ათ მონაწილეს.

ნატოს ტრიბუნალი მოქმედებს

ათენი, 22 იანვარი. (საკდესი). ათენის სამხედრო ტრიბუნალი თითქმის შეუსვენებლად მუშაობს. დღეს აქ გასამართლეს ნეფელუდისი და როდაკისი, რომლებსაც ბრალდებათ დარღვევა № 509 კანონისა, რომლითაც აკრძალულია საბერძნეთის კომუნისტური პარტია. მათ აბრალებენ აგრეთვე ანტიდიქტატორული შეთაურის არალეგალურ ნაბეჭდ გამოცემათა გავრცელებას, საზღვარგარეთის პასპორტების დამზადებას იმ პირთათვის, რომლებსაც დევნის სამხედრო რეჟიმი, და სხვა „ანტიეროვნულ საქმიანობას“.

კუკლუქსკლანელთა მეთაურის გასამართლება

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. რომანოვი იუწყება:

ქალაქ პეტერსბურგში (მისისიპის შტატი) გუშინ დაიწყო კუკლუქსკლანის მეთაურის სემ ბაუერსის გასამართლება, რომელსაც ბრალდება ის, რომ მონაწილეობდა ზანგთა მოძრაობის აქტივისტის ვერნონ დამერის მკვლელობაში.

გ. დამერი დაიღუპა 1966 წლის 10 იანვარს კუკლუქსკლანელთა ჯგუფის მიერ მის სახლში შეგდებული ბომბის აფეთქების შედეგად. ვ. დამერმა ამერიკელი ზანგებისათვის თანაბარი მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭებისათვის ბრძოლით გამოირჩია „თეთრკანიანთა რასის უპირატესობის“ გაბოროტებულ დამცველთა სიძულვილს.

ერთიანი ეროვნული ფრონტისკენ

უცხოეთის დეკანოზთა პრობლემები

საქართველოს სასულიერო პირები

მთავრობა შეუდგა მუშაობას

ვაშინგტონი, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს თეთრ სახლში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კაბინეტის პირველი ოფიციალური სხდომა. სხდომის დაწყების წინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უორენმა პრეზიდენტ ნიქსონს დასწრებით ფიცი დაადებინა კაბინეტის თერთმეტ წევრს. კაბინეტის მე-12 წევრი უოლტერ ჰიკელი, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, არ დაუფიცებიათ, რამდენადაც მისი კანდიდატურა ჯერ არ დაუმტკიცებია სენატს.

პროვოკაციული ნაბიჯი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ბერლინი, 23 იანვარი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ გერმანიის პრეზიდენტი ლუბკე აპირებს 24 იანვარს ჩავიდეს დასავლეთ ბერლინში, სადაც განზრახული აქვს შეასრულოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, როგორც ადნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, პროვოკაციული ნაბიჯი, რომლის მიზანია, წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლისა, შეიყვანოს დასავლეთ ბერლინი ბონის სახელმწიფოში.

ვერც ლუბკის ეს მოგზაურობა, ვერც ბონის ხელისუფალთა სხვა რამე მოქმედება დასავლეთ ბერლინის მიმართ ვერაფერს შეცვლის იმაში, რომ დასავლეთ ბერლინი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია, რომელიც არ შედის და არასოდეს არც შედის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივ სისტემაში. ამ ქალაქის მიმართ, პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება ამერთიანებული დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის ინტერესებს.

თავიანთი უფლებების დაცვაკენ

ბარიზი, 23 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის მუშათა კლასი 12 თებერვალს მოაწყობს თავისი მოთხოვნებისა და უფლებების დასაცავად მოქმედების ეროვნულ დღეს.

ეს გადაწყვეტილება მიიღო შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრაციულმა კომისიამ, რომლის სხდომა გუშინ გაიმართა პარიზში.

საფრანგეთის მშრომელნი ამ დღეს მოაწყობენ დემონსტრაციებს. ისინი მოითხოვენ, კერძოდ, რომ ხელისუფლებამ და საწარმოთა ადმინისტრაციამ შეასრულონ მაის-ივნისის საგაფიცო მოძრაობის შედეგად დადებული შეთანხმება, ავრეთვე შემოიღონ ხელფასის მოძრაკი სკალა, გადასინონ პენსიებისა და პოხიცებულობის დაზმარების ოდენობა, შემოიღონ 40-საათიანი სამუშაო კვირა.

ო. ჩერნიკის სიტყვა

პრაღა, 22 იანვარი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპუტატთა საკანონმდებლო იუწყება, ჩეხიის პროფესიული კავშირების პირველ ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა.

ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა, თქვა მან, გასულ წელს განიცადა მეტად რთული მომენტები. ჩვენ დავიწყოთ საზოგადოების განვითარების პოზიტიურ ღონისძიებათა განხორციელება ისეთნაირად, რომ დავიცვათ სოციალიზმის მშენებლობის საერთო ნიშნები და ამასთან გავითვალისწინოთ ჩვენი ხალხების თავისებურებანი.

ამ პრინციპებით განვავითარებთ ყველაფერ ჩვენი საზოგადოების შინაურ დემოკრატიულ ცხოვრებას, განაცხადა მან, განვავითარებთ ეკონომიურ რეფორმას და ურთიერთობას სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან.

ჩვენი საზოგადოების მთავარი ამოცანაა, ხაზი გაუსვა ო. ჩერნიკმა, პოლიტიკური მდგომარეობის თანდათანობითი კონსოლიდაცია და ნორმალიზაცია. მან აღნიშნა, რომ ზოგნი ამუშავებენ და აყენებენ სხვადასხვა პოლიტიკურ მოთხოვნას, უკიდურეს ღონისძიებათა განხორციელების მოქარით მოითხოვენ მათს დაუყოვნებლივ და უთუო შესრულებას. მოსახლეობაში აღვივებენ სხვადასხვა განწყობილებებს, ავრცელებენ ყალბ ცნობებს, ამახინჯებენ პარტიისა და სახელმწიფო ხელმძღვანელობის პოზიციას, ცდილობენ საზოგადოებაში შეინარჩუნონ შინაგანი პოლიტიკური დაძაბულობა.

ჩვენს საზოგადოებაში, განაგრძო ო. ჩერნიკმა, არსებობენ სხვადასხვა ექსტრემისტული ძალები, რომლებსაც არ სურთ კონსოლიდაცია და იწვევენ სულ ახალ-ახალ კონფლიქტებს. ყოველდღე შეგვიძლია მოვიყვანოთ იმის მაგალითები, რომ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას აღრცილებენ ათასნაირ ცილისწამებლურ ფურცლებს, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებსა და ჩვენს მოკავშირეებს. ეს ფურცლები ადამიანებში აღვივებენ სხვადასხვა განწყობილებას და უარყოფით გავლენას ახდენენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ პროგრამაზე. თვალში გეცემათ ფაქტი, რომ ამაზე ჩვენში ძალიან ცოტას წერენ.

ჩვენს საზოგადოებაში, თქვა მან, არიან ისეთებიც, რომლებსაც არ სურთ საშინაპოლიტიკური მდგომარეობის კონსოლიდაცია.

იმისათვის, რომ არსებული მდგომარეობიდან გამოვიდეთ ისე, რომ მძიმე დანაკარგი არ განვიცადოთ, საჭიროა ერთი ძირითადი წანამძღვარი, განაცხადა ო. ჩერნიკმა. საზოგადოებას შეუძლია გითარდებოდეს საღ საწყისებზე იმ შემთხვევაში, თუ ჰყავს გამაერთიანებელი ხელმძღვანელი ძალა. ამ ხელმძღვანელი როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ კომუნისტურ პარტიას.

ჩვენი მოვალეობაა, განაგრძო მან, გესწრაფოდეთ სოციალისტური სისტემის საერთო განვითარებასა და საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობის ერთობასა და აქტიურ მოქმედებას, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებას, მათთან ერთად ვახორციელებდეთ პრინციპულ საგარეო პოლიტიკას.

დასასრულს ო. ჩერნიკმა მოიწვია პროფკავშირთა წარმომადგენლებს ჩაბედნენ თანამედროვე ეტაპარებას და გამოიტანონ დასკვნები. მან ხაზი გაუსვა, რომ უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასსა და მშრომელებს აქვთ უფლება წყვეტდნენ ხალხის ბედს და აკისრიათ პასუხისმგებლობა ამისათვის.

ცნობა

1969 წლის 22 იანვარს კოსმონავტი მფრინავების საზეიმო შეხვედრის დროს მოხდა პროფეკაციული აქტი — რამდენჯერმე ესროლეს ავტომანქანას, რომელითაც მიდიოდნენ კოსმონავტები ამხანაგები ბერეგოვოი, ნიკოლაევი, ტერეშკოვა, ნიკოლაევი, ლეონოვი. ტყვიამ დაკრა ავტომანქანის მძღოლი და მოტოციკლისტი, რომელიც კორტეჟს ახლდა. კოსმონავტებაგან არც ერთი არ დაშავებულა. კაცი, რომელმაც ისროლა, დაიჭირეს დანაშაულის ადგილას. წარმოებს გამოძიება.

(საკდესი).

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი

მეტიცდება ურთიერთობა ირანთან

მგაიცდება და ფართოვდება ამიერკავკასიის ეკონომიური ურთიერთობა მეზობელ ირანთან. თბილისში სამ დღეს იყო ირანის სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების სამინისტროს ტექნიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი ჰაბიმ ზანდი. იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა, რათა გაეცნოს, თუ როგორ მომდინარეობს საპროექტო სამუშაოები და ირანისათვის იმ ობიექტების მოწყობილობის მიწოდება, რომლებსაც საბჭოთა კავშირი აშენებს. თავის სამშობლოში ქ. ზანდი განაგებს კვებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მშენებლობის საკითხებს, რასაც უცხოეთის ფირმები და უწყებები ეწევიან. გარდა ამისა იგი განაგებს კვების საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საკითხებს.

საქართველოში ქ. ზანდი დაინტერესდა ჩაის ფაბრიკებით და ეროვნულ სახეობათა პურის საცხობი მექანიკური თორნეებით. მან დიდი ყურადღება დაუთმო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალის მწრომელთა მიტინგის შესახებ, აღნიშნავს, რომ ოთხივე კოსმონავტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ხაზს უსვამს სიტყვებს იმის შესახებ, რომ ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ფრენა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევაა, საბჭოთა ადამიანების მამაცობისა და გმირობის, გონების და შრომის ახალი ტრიუმფია.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს მოსკოვიდან მიღებულ ცნობაში მოყვანილია კოსმონავტის ვ. შატალოვის სიტყვები, რომ ხომალდი „სოიუზი“ „შესანიშნავი და პერსპექტიული საფრენი აპარატია“.

საფრანგეთი

პარიზი, 22 იანვარი. (საკდესი). „საგარეთის დედაქალაქმა ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო კოსმოსის ოთხ გმირს, რომლებმაც შეაკირავირეს თავისუფალი ხომალდები ორგიტაზე და შექმნეს მსოფლიოში პირველი კოსმოსური სადგური“, — აღნიშნავს ცნობებში ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ჰოლანდია

ვარშავა, 22 იანვარი. (საკდესი). სახალხო პოლონეთის მილიონობით ადამიანი უხილავად ესწრებოდა დღეს კოსმოსის ოთხ ახალ დამპყრობთან შეხვედრას: ისინი ტაშს უკრავდნენ მოსკოველებთან ერთად მსოფლიოში პირველი ორბიტული კოსმოსური სადგურის „მეომენტაეებს“, რომლებმაც ახალი ფურცელი ჩაწერეს სამყაროს დაპორჩილების ისტორიაში და ძმურად მიესალმებოდნენ მათ, ულოცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალზე დიდი გამარჯვებით დაბრუნებას.

ვარშავის რადიომ გადასცა: „მოსკოველები გულთბილად და სიხარულით შეხვდნენ ოთხ მამაც და გაბედულ ადამიანს. პირველი შეხვედრა მოხდა მოსკოვის ვნუკოვოს აეროდრომზე. თვით მოსკოვში კი მათ პირველი შეხვდნენ სამხრეთ-დასავლეთ რაიონის მცხოვრებლები, სადაც აეროდრომიდან მომავალი მე-ორკოსმონავტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პროსპექტის უერთდება.

იუგოსლავია

ბელგრადი, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს როცა საბჭოთა დედაქალაქი მოსკოვი სიხარულით შეხვდა თავის გმირებს, კოსმონავტ მფრინავებს ვლადიმერ შატალოვს, ბორის ვოლინოვს, ევგენი ხრუნოვს, ალექსი ელისეევს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მეცნიერული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარემ სიდა მარიანოვიჩმა, მინდა უწინარეს ყოვლისა მივულოცო ჩვეს საბჭოთა კოლეგებს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიდი მიღწევა. პირველი ორბიტული სადგურის შექმნა, კოსმონავტების გადასვლა ერთი კოსმოსური ხომალდიდან მეორეში შესაძლებელი გახდა იმ უდიდეს წვრმატებათა შედეგად, რომლებსაც წლითიწლობით აღწევს მთელი საბჭოთა მეცნიერება.

საბჭოთა მეცნიერებისა და კოსმონავტთა ეს გმირობა ახარებთ ყველა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს.

სულითა და გულით, თქვა სიდა შარიანოვიჩმა, გულოცავ კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის გმირ, ეკიპაჟს. მათ მსოფლიოში პირველებმა განახორციელეს ექსპერიმენტი, რომელიც სახავს კოსმოსური სივრცის შემდგომი კვლევის ახალ გზებს.

კუბა

ჰავანა, 23 იანვარი. (საკდესი). „ჩემი აზრით, საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ფრენის წარმატება მარტო ის როდია, რომ მსოფლიოში პირველად განხორციელდა პილოტირებული ხომალდების შეკირავირება და ორი კოსმონავტის კოსმოსურ სივრცეში ერთი ხომალდიდან მეორეში გადასვლა, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს კუბის მეცნიერებათა აკადემიის ნეიროფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ხოსე ა. გუსტამენტემ. — როგორც მე ვფიქრობ, ეს თვალსაჩინო ექსპერიმენტი საშუალებას იძლევა კონკრეტულად დაინახოს საკაითხი კოსმოსის პირობებში ადამიანის მუშაობის უნარის შესახებ.

როგორც ექიმსა და ფსიქიატრს, მიმაჩნია, რომ საბჭოთა მედიცინის, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კოსმოსური ფრენის ფართო პრობლემის განხორციელებაში, წარმოადგენენ კოსმოსური მედიცინის პიონერებს და სამოდამოდ დარჩებიან ამ კოთილშობილური საქმის პიონერებს.

შვეცია

სტოკჰოლმი, 23 იანვარი. (საკდესი). ეს უკანასკნელი წარმატებაა, ხაზი გაუსვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სტოკჰოლმის ტექნიკური მუზეუმის დირექტორმა ს. სტრანდმა. საბჭოთა კოსმონავტებმა კიდევ დაადასტურეს, რომ ისინი ინარჩუნებენ კოსმოსური სივრცის წამყვან მკვლევართა პოზიციებს.

საბჭოთა კოსმონავტების უკანასკნელი წარმატებანი ახალი წვლილია საერთაშორისო ურთიერთგაგებაში, ხალხთა დაახლოების საქმეში კატეგორიობის საერთო ინტერესებისათვის, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს „შვეცია-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა კავშირის ვიცე-თავმჯდომარემ კარინ შულცმა.

იტალია

რომი, 22 იანვარი. (საკდესი). იტალიის ანსას საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ცნობათა ხერხა ტრიუმფული შეხვედრის შესახებ, რომელიც დღეს მოსკოვში მოეწყვეს „კოსმოსურ ოთხეულს“ — ვ. შატალოვს, ბ. ვოლინოვს, ა. ელისეევს და ე. ხრუნოვს. სააგენტომ აღწერა, თუ როგორ საზეიმოდ იყო მოწყობილი საბჭოთა დედაქალაქის ქუჩები, როგორ მიესალმებოდნენ მოსკოვის მშრომელები კოსმონავტებს.

ანსამ გადასცა კრემლში გამართულ მიტინგზე წარმოთქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი და ხაზი გაუსვა იმ აღგილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის შემქმნელთა შრომის მაღალ ხარისხზე.

იტალიის რადიომ მილიონობით მსმენელს აუწყა, რომ მოსკოვში მამაც კოსმონავტებს ისე შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირებს.

ეკონომიური გვარიელები ზანგთა გეტოში

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი იუწყება:

9 თვეზე მეტ ხანს „იცავდნენ წესრიგს“ ეროვნული გვარდიის პატრულები დელავერის შტატის მსხვილი სამრეწველო ცენტრის ქალაქ უილმინგტონის ზანგთა გეტოს ქუჩებში.

შტატის გუბერნატორის ბრძანებით ეს რაზმები ქალაქში შეიყვანეს ჯერ კიდევ გასული წლის 9 აპრილს, როცა უილმინგტონში დაიწყო ზანგთა მღელვარება, რომელიც გამოხმაურება ამერიკის მეეროვნული შტატების ზანგთა მოძრაობის თავლსაჩინო მოღვაწის ლუთერ კინგის მოკვლის გამო.

მას შემდეგ შტატის ხელისუფლებს ზანგთა ახალი დემონსტრაციების შიშით გამუდმებით ჰყავთ ქალაქში ეროვნული გვარდიის 100-მდე წ

ჩვენს ყავა-ჯაკეში

გვპატრონობენ „კომუნისტის“ და საძღვნის კორესპონდენტები

მომავალი ჯარისკაცის უნივერსიტეტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის ორგანიზაციისა და ს. ორჯონიკიძის სახელობის სავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის ინიციატივით ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ შეიქმნა და როგორც პირველია მთელ რესპუბლიკაში.

თავისი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტმა, რომლის რექტორია თადარიგის ოფიცერი ბ. ოსეფაშვილი, ასობით წვრილმეტლი მოუმზადა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. ახლა ამ უნივერსიტეტში 130 ავტომშენებელი სწავლობს.

სახალხო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ თადარიგის გენერალი პ. ჩხობაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კ. მეძველია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. ჩხეიძე, დოცენტები გ. სამხარაძე, დ. კოპალიანი, გ. გურეშიძე.

პედაგოგიური კითხვა

ბათუმის სკოლებში მიმდინარეობს პედაგოგიური კითხვა, რომელიც მოაწყეს აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების აჭარის განყოფილებამ.

მოხსენებები წაიკითხეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ქალაქისა და სოფლის სკოლების მასწავლებლებმა.

პედაგოგიური კითხვის დროს მოეწყო გამოფენები.

მ. გიორგაძე.

გმირის სახელობისა

დიდი ხანი არ არის, რაც ხაშურში მოსახლეობის თხოვნით გორგი პაპუაშვილის ქუჩა. ის ხაშურის რაიონის მკვიდრია, დაიბადა და აღიზარდა სოფელ დუმაცხოვში, სკოლის მერხიდან მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში, მონაწილეობდა თეთრფინელებთან ბრძოლაში, შემდეგ დიდ სამამულო ომში, სადაც მამაცური სიკვდილით დაეცა მტერთან ბრძოლაში.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გორგი იასონის-ძე პაპუაშვილს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.

დ. ფარემუზოვი.

ლ. ლ. ჩიქავა — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **ლეო ლეონტის-ძე ჩიქავამ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საქართველოს სსრ კავების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიური ეფექტურობის საკითხები“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ლ. ლ. ჩიქავასთვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ამინდი

თოვლი, ქარები

ქვლავ თეთრად შეიმოსა აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ბარი. 22 იანვარს დილიდან-ვე ბარდნიდა, თოვლის სქელი საფარი დაედო კახეთისა და ქართლის რაიონებს.

რაიონის ზეობაში კვლავ ამოვარდა ძლიერი ქარი. 22 იანვარს ქუთაისში ქარის სიძლიერე 34 მეტრს აღწევდა წამში, დანარჩენ რაიონებში კი 20-25 მეტრს. შემდეგ დღეს ქარი თანდათანობით ჩადგა.

22-23 იანვარს ქარები აღინიშნა აღმოსავლეთ საქართველოში, გორსა და ხაშურის მხარეს. ცხინვალსა და ხაშურში ქროდა წამში 20 მეტრი სიძლიერის ქარი, გორში — 7:10 მეტრისა.

გუშინ დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში დაიწყო ნალექი, წვიმების სახით. 7 გრადუსამდე სითბო აღინიშნა როგორც დღისით, ისე ღამით გაგრაში, გუდაუთში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ზუგდიდში. ბათუმში იყო 6 გრადუსი სითბო, ქობულეთში — 4. ამდენივე გეგეჭკორში, ქუთაისში, სამტრედიაში.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვლმა აცივება გამოიწვია. გუშინ 12 საათისათვის თბილისში თერმომეტრი უჩვენებდა ორ გრადუს სითბოს, გარდაბანში — ერთს. დანარჩენ ადგილებში, როგორც ქართლის, ისე კახეთის რაიონებში, ტემპერატურა მერყეობდა ნულსა და უფრო ქვემოთ, ღამით მთელ აღმოსავლეთ საქართველოში იყო მინუს 3-5 გრადუსი. მთიან რაიონებში კი უფრო ყინავდა, წალკაში აღინიშნა მინუს 11 გრადუსი, ბაკურიანში — მინუს 9.

თოვლის უველაზე სქელი საფარია ჯვრის უღელტეხილზე. აქ თოვლის სისქე 99 სანტიმეტრს უდრის, მანგლისში — 49, თიანეთში — 43, წალკაში — 40, თბილისში — 14, ბაკურიანში — 12 სანტიმეტრს.

როგორც თბილისის ამინდის ბიუროში გვაუწყეს, ამ ორ-სამ დღეს მთელ საქართველოში ვარაუდობენ ღრუბლიან ამინდს, თოვლს, დასავლეთ საქართველოს ბარში უმეტესად თოვლ-წყაპის სახით. რაიონის ხეობებში ქარის სიძლიერე თანდათანობით შესუსტდება. ტემპერატურა ღამით დაიწევს. დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღამით 2 გრადუსი ყინვა, დღისით 3-7 გრადუსი სითბო, აღმოსავლეთ საქართველოში ღამით 8 გრადუსი ყინვა, დღისით 2-6 გრადუსი სითბო.

ხელსაყრელი ამინდია ახლა ბათუმის სახელმწიფო თეატრის ბაზაზე. იანვრის ბოლოს მოსალოდნელია თევზთა დიდი გუნდის გავლა ბათუმისა და ფოთის ნაპირებთან.

თევზსაჭერ სეინერებზე, თევზის გადასამუშავებელ საამქროში გაჩაღდა მუშაობა. მეთევზეები სანაპიროდ ამზადებენ თევზსაჭერ იარაღებს, ამოწმენ ბადეებს, რათა მომზადებულნი გავხდნენ ნადავლის.

კარგად შრომობენ ამ დღეებში ბენზინ-ელექტრო სეინერ „ს.ს.ს.ი.“-ის მეთევზეები, რომლის კაპიტან-მექანიკოსია სერგო ქარია. ამ სეინერის ეკიპაჟი დამსახურებულად ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელს. მეთევზეებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის დავალება.

წელს სეინერის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ხუთწლედის გეგმა მაისისთვის შეასრულოს.

სეინერზე უველაფერი მზად არის ზღვაში გასასვლელად. **სურათზე:** სეინერის კაპიტან-მექანიკოსი სერგო ქარია (მარჯვნივ) და თევზჭერის ოსტატი ხარლამპი პურპურიდი.

ფოტო **ნ. ანასტასიევისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხანძარს შეეგრძოლა

შემთხვევა

ამას წინათ ხანგრძლივი და ძლიერი ზრიგალის შედეგად ელექტრონერგია ზუგდიდში მთლიანად გამოითიშა. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა ტექნიკური კვანძის უფროსი ტექნიკოსი ალექსანდრე ჭურულია ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის საკუთარ ელექტროდიზელს ამუშავებდა და ენერგიას აწვდიდა რაიონული კვანძის ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს დანადგარებს. უცებ მან შეამჩნია, რომ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის შენობის უკანა კუთხეში მინდვრად დაყრილ ქაღალდის ნაფლეთებს ხანძარი გასჩენოდა და ცეცხლი ღობეს მოსდებოდა. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა და მიიწევდა რაიონული კვანძის შენობისაკენ. დაწვას უქადდა მის ირგვლივ მდებარე შენობებსაც.

მამაცი ტექნიკოსი უმალვე გაჩნდა შემთხვევის ადგილზე. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა მოქმედებას. სხვადასხვა საშუალების გამოყენებით და საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებით მამაცურად შეებრძოლა გაჩენილ ხანძარს...

სანძრის ჩაქრობაში თავი გამოიჩინეს და აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამავე რაიონული კვანძის ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს დანადგარებს. უეცრად მან შეამჩნია, რომ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მორიგე ტექნიკოსებმა ვალიკო გახარიამ, ნიკოლოზ ჩილაჩავამ და დაცვის გუშაგმა დათუშა ფიფიამ.

ზუგდიდის 37-ე საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძის აღმინისტრაციამ უფროს ტექნიკოსს ა. ჭურულიას მადლობა გამოუცხადა.

ბ. ალშიბაია.

ბურსის გაიფანტა

ჩაქცი

ალმა-ატაში საკავშირო საჰადრაკო ჩემპიონატს ფინიში აქვს. ბრძოლა ოქროს მედლისათვის გაიმწვავდა. როგორც ჩანს, საარჩიო ადგილების ბედი უკანასკნელმა ტურებმა უნდა გადაწყვიტოს.

მეთოთხმეტე ტურში ერთი შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა, სამი პარტია არ შემთგარა, ექვსი კი შედეგიანი აღმოჩნდა.

უველაზე ადრე დამთავრდა კლოვან-პლატონოვის პარტია. წარმატება კლოვანის ხვდა. აღმავლობით იბრძვის გროსმაისტერი ა. ზაიცევი. მისი მეტოქე ლუტიკოვი ცაიტნოტში აღმოჩნდა, დაუშვა რამდენიმე შეცდომა და 47-ე სვლაზე დამარცხდა.

სსრ კავშირის ჩემპიონს პოლუგაევსკის პაექრობა პოდგაეცთან ჰქონდა: ოდესელი ოსტატი ცდილობდა კომბინაციური გართულებით უპარატესობათვის მიეღწია, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა და ხარისხი დაკარგა. გროსმაისტერი ამ ნაბიჯს არ დასჯერდა, მალე მან პაიკი მოიგო და 29-ე სვლაზე პარტიაც. ეს პოდგაეცის პირველი დამარცხება იყო.

საინტერესო გამოდგა ჩეჩეკოვ-ნიკიტინის პარტია. რთულ პოზიციურ ბრძოლაში წარმატება ნიკიტინს ხვდა. ლეონ-გურგენიძის პარტიაში ყაიმი აღინიშნა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბაგიროვ-ავერბახის პარტია.

თოთხმეტი ტურის შემდეგ წინ იყვნენ გროსმაისტერები ა. ზაიცევი და ლ. პოლუგაევსკი, მაგრამ მომდევნო ადგილის ბედი გაურკვეველი რჩებოდა.

და აი ეს ბურსი გაფანტა გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც გუშინ შედგა.

ცეშკოვსკის გარკვეული უპირატესობა ჰქონდა კიეველ ოსტატ სახაროვთან გადადებულ პარტიაში და იგი გამარჯვებით დაგვირგვინა. ნიკიტინისა და ლეონის პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმს დასჯერდნენ.

გათამაშდა აგრეთვე გამოტოვებული პარტიები ოსნოს-ტალსა და ა. ზაიცევ-ვასიუკოვს შორის. ორივე შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

თოთხმეტი ტურის შემდეგ გროსმაისტერ ა. ზაიცევს 10 ქულა აქვს. სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. პოლუგაევსკი ლიდერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. ა. ლეონს 8,5 ქულით მესამე ადგილი უკავია.

„დინამოს“ რეზერვი

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივმა ამ დღეებში ახალი შევსება მიიღო. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გუნდს გადასცა ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი, რომლებიც სპეციალურმა კომისიამ შეარჩია.

ეს ფეხბურთელები არიან: **ი. ესებუა** (ცხაკაიას „ლოკომოტივის“), **შ. ხინჩიკაშვილი** (რუსთავის „მეტალურგი“, № 1 ინტერნატის აღზრდილი), **დ. ყიფიანი** და **მ. ჭელიძე** (თბილისის „ლოკომოტივი“, განათლების განყოფილების ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლის აღზრდილნი), **ნ. კვანტალიანი** (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის განათლების განყოფილების ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლა აღზრდილი), **ლ. ბუძიშვილი** (თბილისის განათლების განყოფილების ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლა), **ნ. ჭითაური** და **თ. მალრაძე** (ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლა).

სტარტზე პრიან სტუდენტები

ფლეშანდელი საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში სტუდენტებს შორის ბათუმში გაიმართება. იგი დღეს გაიხსნება და თითქმის ერთ თვეს გასტანს. ამ პირველობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამასთანავე წარმოადგენს შესარჩევ შეჯიბრებას სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის დასაკომპლექტებლად. ეს გუნდი, როგორც ცნობილია, მომდინარე წლის ზაფხულში მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელიც ლიპაციგში გაიმართება.

წლისწყრის შემდეგ საჭადრაკო მაგიდას მიუსხდება 16 მონაწილე, რომელთა შორის იქნებიან სტუდენტ მოჭადრაკეთა შარშანდელ მსოფლიო ოლიმპიადაზე გამარჯვებულნი—გ. ტუხმაკოვი, გ. კუზმინი, რ. ზინგიხაშვილი, ა. კაპენგუტი და გ. კუბრეიჩი. გარდა ამ მინიჭებისა, თბილისიდან სსრ კავშირის ჩემპიონატზე გაემოვა ა. გიორგაძე.

ხანძარს შეეგრძოლა

შემთხვევა

ამას წინათ ხანგრძლივი და ძლიერი ზრიგალის შედეგად ელექტრონერგია ზუგდიდში მთლიანად გამოითიშა. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა ტექნიკური კვანძის უფროსი ტექნიკოსი ალექსანდრე ჭურულია ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის საკუთარ ელექტროდიზელს ამუშავებდა და ენერგიას აწვდიდა რაიონული კვანძის ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს დანადგარებს. უცებ მან შეამჩნია, რომ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის შენობის უკანა კუთხეში მინდვრად დაყრილ ქაღალდის ნაფლეთებს ხანძარი გასჩენოდა და ცეცხლი ღობეს მოსდებოდა. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა და მიიწევდა რაიონული კვანძის შენობისაკენ. დაწვას უქადდა მის ირგვლივ მდებარე შენობებსაც.

მამაცი ტექნიკოსი უმალვე გაჩნდა შემთხვევის ადგილზე. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა მოქმედებას. სხვადასხვა საშუალების გამოყენებით და საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებით მამაცურად შეებრძოლა გაჩენილ ხანძარს...

სანძრის ჩაქრობაში თავი გამოიჩინეს და აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამავე რაიონული კვანძის ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს დანადგარებს. უცებ მან შეამჩნია, რომ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მორიგე ტექნიკოსებმა ვალიკო გახარიამ, ნიკოლოზ ჩილაჩავამ და დაცვის გუშაგმა დათუშა ფიფიამ.

ზუგდიდის 37-ე საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძის აღმინისტრაციამ უფროს ტექნიკოსს ა. ჭურულიას მადლობა გამოუცხადა.

ბ. ალშიბაია.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

სსრ კავშირის არაირეგულის ჩემპიონი ხარბინის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი მოსკოვში შეხვდა კიევის სპარტაკს. მატჩის შედეგია 68:64 არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელთა სასარგებლოდ.

კიმმის მეორე გუნდი — „სტროიტელი“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა მოსკოვის „დინამოსთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 90:87.

მატჩი ალმა-ატაში ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ტარტუს „ელვების“ გუნდებს შორის მასპინძელთა ტერიტორიაზე წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 84:79.

800 ათას სტერლინგად

როგორც ფიფას სამდივნომ გამოაცხადა, პრეზიდენტმა ს. როზმა 37 წლის მექსიკელ მილიონერ ემილიო აცკარაგოს 675 ათას გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ტელევიზიით გადაცემის უფლება. ამიერიდან დაინტერესებულ ქვეყნებს მხოლოდ აცკარაგოსთან ექნებათ საქმე. ამავე მილიონერს 125 ათას გირვანქა სტერლინგად მიეყიდა მსოფლიო ჩემპიონატზე ფილმის შექმნის უფლება.

რამდენიმე სტრიქონით

● **სსრ კავშირის** ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი განაგრძობს ტურნირს კანადაში. მესამე შეხვედრა ჩვენს ჰოკეისტებს ჰქონდათ ქალაქ გეტტოროაში კანადის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:3.

● **გუშინ** კალინინში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ჩქაროსნულ ციგურაობაში იუნიორთა შორის. მონაწილეობს 150 სპორტსმენი. პირველ დღეს 500 და 3.000 მეტრზე რბენაში წარმატება ხვდა დინამოელ ი. მურატოვს.



მშენდება მეშახტეთა ქალაქი ტყვარჩელი. მის ქუჩებს კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ახალ-ახალი შენობები ემატება. მშრომელთა კეთილდღეობისათვის მწყობრში დგება მაღაზიები, სასადილოები, ფართოვდება ქუჩები და სკვერები.

თანამედროვე სტილით ნაგებმა ამ შენობამ, რომელიც ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ, კიდევ უფრო გაალამაზა მეშახტეთა ქალაქის ერთი კუთხე. მასში მოთავსდება უნივერსალური მაღაზია.

ფოტო **ი. ჰოსტონელიძისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ა. ი. ლიღებულიძის სახელობის ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1969 წელს შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

დასწრებული ასპირანტურა — საწარმოო თბოენერგეტიკა — 1 ადგილი, ელექტრული ქსელები და სისტემები — 1 ადგილი.

დაუსწრებელი ასპირანტურა — ჰიდროელექტროსადგურები და ჰიდროენერგეტიკული დანადგარები — 1 ადგილი.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ერთ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, ხოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი, ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ და ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან, მოწმობა ფორმა № 6 იმ პირებისათვის, ვისაც ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, ცნობები გამოგონებათა, საცდელ საკონსტრუქტორო ნაშრომთა შესახებ და დასკვნები მათზე. იმ პირებმა, რომელთაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, სპეციალურ საგანში უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) ერთ ცალად.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სწავლულ მდივანთან.

მისამართი: თბილისი, ზოია რუხაძის ქ. № 1, ტელეფონი 36-22-40.

თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონი“

იწვევს სამუშაოზე მოსწავლეებს ინდივიდუალური წესით ხარატის, ზეინკლის, მთარაზის, მბრეხავის, მტვირთავის პროფესიებზე მოსამზადებლად.

ცნობებისათვის მიმართეთ ქარხნის კადრების განყოფილებას (ა. წერეთლის პროსპექტი, 116).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

14.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 14.30 — მოკატი. სიმფონია დომაჟორი. 15.00 — სცენები სპექტაკლებიდან, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“. კონცერტი საუბარი „მ. ბალანჩივაძე“, 17.00 — უკანასკნელი ინობები. 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. „საყმაწვილო ოპერა „ქაჯანა“, 18.00—უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.30—რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45—მღერის ნ. გიაუროვი, 19.00—რადიოეჟურნალი „ლენინური ალმანახი“, 19.30 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 20.00—უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20:30 — ახალგაზრდობისათვის „სტუდენტური არდადეგები“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — საუბარი „თანამედროვე ცხოვრება ჩვენი ლიტერატურის მთავარი თემაა“, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 22.50 — ლისტ-ბუზონი. „პეტრარკას სონეტი“, 23.30 — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრ „ერეოს“ კონცერტი, 23.50 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

24 იანვარი

11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარაუდეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის. „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ლიონოვი. „მაჩვი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 13.00 — მხატვრული ფილმი „ორი თეოდორე“. 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „კატია და ნიანგი“, 19.10 — კონცერტი, 19.40—„მომამზე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ — გადმოცემა მოსკოვიდან. 21.10 — „ვარსკვლავეთის ფუტფუტა“ — გადმოცემა მოსკოვიდან. გადაცემაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის კოსმონავტი მფრინავები, 21.45 — საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა — მხატვრული ფილმი „ომი და მშვიდობა“ (IV სერია).

თეატრები

24 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის **ოპერისა და ბალეტის** სახელმწიფო **აკადემიური** — გიდის ტბა, **რუსთაველის** სახელობის **სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე (28-ე ამონ.), **მარჯანიშვილის** სახელობის **სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყანთარელაძე, **ვახო აბაშიძის** სახელობის **მუსიკალური კომედიის** — საბრიდისწირო ოპერაცია, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნუ გიჩქარებათ სიცილი (№ 51 ამონ. საკ. 6 ს.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგზ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 99-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, ნერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ინდექს 66443 უე 03125

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.